

“დინამო” (თბილისი) – “დინამო” (მოსკოვი) 0:0

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 13 მაისი.

თბილისი: კუცია (აბუსერიძე), დურდიაძე, ჩივაძე, ჟორჟიკაშვილი, ჯოხაძე, კოპალეიშვილი, სვანაძე, სულაქველიძე, გუცაევი, კაკილაშვილი, შენგელია (ცაავა).

მოსკოვი: პრუდნიკოვი, ლატიში, ნოვიკოვი, მახოვიკოვი (ნიკულინი), ტერენინი, ტოლსტიხი, მოლოდცოვი, ინაევი, ტყეზუჩავა (მენტიუკოვი), აჯოევი, გაზაევი.

მსაჯი: ი. დუტკო (ლვოვი).

დუბლიორები – 0:1.

გააფრთხილეს ნოვიკოვი და კოპალეიშვილი.

კაცისა, რომელიც გამუდმებით წუწუნებს, ნაკლებად სჯერათ ხოლმე. ალბათ ამიტომაც შევიკავე თავი წინა მატჩში მოსკოვის “სპარტაკთან” მსაჯობაზე რამე აუცილებელი მეტეჯა. არად, სათქმელი საკმაოდ იყო. მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში სტუმართა უხეშობას უფეროდელი არბიტრი ა. ტემეტევი ერთთავად გვერდს უვლიდა. ამით მშვენივრად ისარგებლეს სპარტაკელებმა და თბილისელთა ვერცერთ იერიშსა თუ კომბინაციას, ბუნებრივია, ლოგიკური დასასრული ვერ მოჰყვა. მაშინ მასპინძლებმა რატომღაც ნაადრევად დაყარეს ფარ-ხმალი, მეორე ტაიმში კი თვითონ “სპარტაკმა” ისურვა ფეხბურთის თამაში. აი, ამ მოწვევაში არბიტრი საკმაოდ ობიექტურად სჯიდა, რაც სავსებით ბუნებრივიც იყო – საქმე ხომ, რომ იტყვიან, პირველ ტაიმშივე გაკეთდა.

მოსკოვის “სპარტაკი” საერთოდ კორექტული გუნდია და სალაპარაკოც არაფერი იქნებოდა, ა. ტემეტევის ოდნავი ობიექტურობა რომ გამოეჩინა.

სხვა საქმეა მოსკოვის “დინამო”. წლების განმავლობაში ეს გუნდი ძალისმიერი, ერთობ ხშირად კი უხეში ფეხბურთის მქადაგებელია. სავსებით ლოგიკურია ისიც, რომ სწორედ ამ გუნდში თამაშობს “უხეშობის ოსტატად” აღიარებული ნოვიკოვი. ეს ყველაფერი მშვენივრად იციან არბიტრებმა და ნებისმიერ მათგანს, თუ კი საიმისო სურვილი აქვს, რომ მატჩი ნორმალურად ჩატარდეს, სწორედ რომ ევალეზა ამ გუნდის არასაფეხბურთო სტილის ნებისმიერი გამოვლენა სათავეშივე აღკვეთოს. სამწუხაროდ, გუშინწინდელ მატჩში მსგავსი არაფერი მომხდარა. არადა, ამ გუნდთან ნებისმიერი თამაში (იგულისხმება დუბლიორთა შემადგენლობაც), სხვისი რა ვთქვა, და თბილისის “დინამოს” კი ორი-სამი ფეხბურთელის დაშავებად უჯდება. ასე მოხდა წინა დღეს დუბლიორთა შეხვედრაში და ასევე გაგრძელდა ძირითადი შემადგენლობების ასპარეზობისას. ფაქტურად ყველაფერი ის, რაც არასპორტული იყო ამ მატჩში, მხოლოდ და მხოლოდ მთავარი არბიტრის ლვოველი ი. დუტკოს “დამსახურებაა”.

წლების მანძილზე ვწერთ და ვლაპარაკობთ, რომ უხეშობა, “ჭუჭყიანი თამაში” ვნებს, ამუხრუჭებს ფეხბურთს. ვწერთ, მაგრამ რა! დუტკოსნაირ არბიტრებს, როგორც ჩანს, არაფერში ენადვლებათ არც ფეხბურთი, არც დამტვრეული წვივები და კოჭები. როგორც ჩანს, მათთვის უცხოა სპორტული იდეალები და ერთობ ხშირად მოქმედებენ წინასწარ შედგენილი გეგმით. უფრო სადადაც შეიძლება ითქვას: ხსენებული მატჩის არბიტრს ფრე სავსებით აძლევდა ხელს. ამიტომ იჩენდა ლიბერალობას, ამიტომაც ვერ შენიშნა სტუმართა კარში რამდენიმე არც თუ ძნელად დასანიშნი პენალტი.

დღეს თბილისელებს ისედაც საკმაოდ აქვთ საფეხბურთო პრობლემები და “მსაჯის პრობლემის” დამატება, ბუნებრივია, კარგ ვერაფერს სამსახურს გაუწევს გუნდს. და მაინც ის, რომ გუშინწინდელ შეხვედრაში მიუხედავად ზამოხსენებული ხელისშემშლელი ფაქტორებისა, გუნდი უკანასკნელ წუთამდე იბრძოდა გამარჯვების მოსაპოვებლად, ისიც, რომ თვით თამაშის ხარისხიც წინანდლებთან შედარებით გაცილებით უკეთესი იყო, უცილობლად გვაფიქრებინებს: მერე და მერე მდგომარეობა გამოსწორდება, გუნდი მალე დააღწევს თავს მისთვის შეუფერებელ ადგილს.

ი. ბერიაშვილი.

“ლელო”, 15 მაისი, 1983 წ.